



N 5612/01
19/06/2020

5612-01-2-202006191017



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ 2020 წლის 16 ივნისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ნინოწმინდაში, მდ. იორის ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/25734>) სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნების და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2020 წლის 29 ივნისის ჩათვლით. მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული განცხადების განთავსება თქვენი აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: ტექსტის მიხედვით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

